ბერთაყანის არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

2012 წელი

ასპინძის რაიონში, სოფ. თმოგვში, ადგილ ბერთაყანის სანახებში არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოები ჩატარდა 25 ოქტომრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული საკვლევი ტერიტორია დაიყო რამდენიმე უბნად. ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, ოთხ უბანზე ვიმუშავეთ. I უბანი - ნამოსახლარი და სამაროვანი - დ. ნასყიდაშვილი; II - მ. ძნელაძე; III - ვ. სადრაძე

ჩვენს მიერ გამოყოფილ პირველ სამ უბანს შეიძლება შეემატოს მეხუთე, მეექვსე და ა.შ უბნები.

ცალკეულ უბანზე (მაგ, II უბანი), განურჩელად იმისა რამდენი სამარხი გაითხრება, აღმავალი ნუმერაცია (1,3-10,11 და ა.შ) არ შეიცვლება.

სამაროვანზე ო. ჯაფარიძემ და სხვებმა ყორღანების (გორა-სამარხების) განლაგებაშე უბნური (ჯგუფური) სიტება დაადასტურეს (მოზრდილი გორასამარხების ახლოს გამართულია საშუალო და მცირე ზომის წრიულქვაყრილიანი და ქვაწრიანი სამარხები).

ძეგლების ტოპოგრაფიის თვალსაზრისით ეს დაკვირვება მნიშვნელოვანია. მართლაც, "უბნებზე" დომინირებს დიდი ან საშუალო ზომის გორასამარხები, რომლის გარშემო (მაგ. II უაბნი) გამართულია საშუალო და მცირე ზომის წრიულქვაყრილიანი და ქვაწრიანი სამარხები.

აღნაგობით განსხვავებული სამარხები შეიცავენ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ მასალებს.

I უბანი

არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ბერთაყანაში #1 ქვაწრეზე, სადაც სამუშაოები გასულ წელს დაიწყო. მოხდა ქვაწრის შიდა ტერიტორიაზე ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა. #1 ქვაწრე დაიყო 4X4 მეტრიან კვადრატებად. სამუშაოების სირთულის გამო შესწავლილ იქნა მხოლოდ აღმოსავლეთის ერთი სეგმენტი, C6 კვადრატი. მოხდა კვადრატის ზედაპირიდან - 1.3 მეტრზე დაღმავება.

კვადრატის ჩრდილო აღმოსავლეთით აღმოჩნდა 1.7 მეტრის საშუალო ზომის რიყის ქვით ნაგები ორწყობა კედელი. რომელიც ზედაპირიდან – 20 სანტიმეტრზეა. კედლის სიმაღლე აღმოსავლეთით 35 სანტიმეტრს აღწევს.

კვადრატის სამხრეთ დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა დიდი ზომის სამი ქვა, რომელიც, გარკვეულ წილად, აბსიდის ფორმას ქმნის. სავარუდოა, რომ ეს კედელი კონტექსტში უნდა იყოს ზემო აღნიშნულ კედელთან. სათავსო დაზიანებული უნდა ჰქონდეს ე.წ. ჩადგმულ სამარხს, რომელიც კვადრატის ცენრალურ ნაწილშია ზედაპირიდან 1.3 მეტრ სიღრმეზე.

სამარხი ორიენტირებულია აღმოსავლეთ დასავლეთ ღერძზე, თავით აღმოსავლეთით. სამარხის ზომებია 1.2X.0.7 მეტრი. მიცვალებული დასვენებულია მარჯვენა გვერდზე ხელ-ფეხ მოკეცილ მდგომარეობაში. სამარხი გაძარცვული დაგხვდა. სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩდა 10 სანტიმეტრი სიგრძის რკინის მორკალული დანა.

II უბანი

II უბანზე გაითხარა სამი წრიულქვაყრილიანი (#2,3,5) სამარხი და მომავალი სამუშაოების ჩასატარებლად მომზადდა ერთი ქვაყრილიანი გორასამარხი (#4) და ერთიც ქვამიწაყრილიანი (#1) სამარხი (ორივე ატარებდა დაზიანებისა (#1) და გაძარცვის ნიშნებს (იხ. ისტ. გეგმა 2).

<u>სამარხი #2</u> (იხ. გეგმა, ფოტო?) აღმოჩნდა 26.10.2012. წარმოადგენდა ასიმეტრიულ, ნაწილობრივ დაზიანებულ ქვაწრიან სამარხს (ქვების სიგრძე - 0,9მ, სიგანე - 0,5მ, სისქე - 0,32მ) შემორჩენილი ნაწლის მიხედვით დმ. - 5,3მ. სიმაღლე უმნიშვნელოა; გადახურვის ქვების დონე ქვაწრის ქვების დონეს არ აღემატება. სიმაღლე თანამედროვე დონიდან 0,4-0,45მ-ია. გააჩნდა საშუალო (სიგრძე - 0,4მ, სიგანე - 0,39მ, სისქე - 2,5მ) და მცირე ზომის (სიგრძე - 0,3მ, სიგანე - 0,2მ, სისქე - 0,15მ) ლოდებისგან შევსებული ჯავშანი, რომლის S-W მხარე დაზიანებულია. სამარხის შუა ნაწილში გადახურვის ნაშთი დადასტურდა (ქვის სიგრძე - 1,2მ, სიგანე - 0,8მ, სისქე - 0,35მ) ზემოაღნიშნული მონაკვეთის შუა და სამხრეთი ნაწილი ჩაქცეული ჩანდა. მოზრდილი ქვების "ჯავშნის" ალაგების შემდგომ შავი "წმინდა" მიწის მასაში თიხის ჭურჭლის ნატეხები გვხვდებოდა. 0,2-0,3მ დაღრმავების შემდგომ ჩასასვლელი დრომოსის და კამერის ზედა ნაწილი დადასტურდა (სიგრძე - 3,4მ, სიგანე - 1,2მ). დრომოსი და დასაკრძალავი კამერა O-W ღერძზეა დამხრობილი ოდნავი გადახრით (დრომოსის სიგრძე - 0,7მ, ქაყრილის დონიდან - 0,3-0,35მ ქვემოთ). იგი ბრტყელი ქვებითაა ამოშენებული. წაგრძელებული ოთკუთხედის გეგმარების კამერის W კედელი სამრიგად აგებული ასიმეტრიული და სხვადასხვა ზომის ქვებითაა ამოშენებული (იხ. ნახ. 1; დიდი - 0,7მ; საშუალო- 0,35მ). O-კედელი, დრომოს-ჩასასვლელი წარმოდგენილია ბრტყელი ქვების ოთხი წყობით (დიდის სიგრძე - 0,8მ, სიგანე - 0,45მ, სისქე - 0,12მ); ჩრდილოეთი გრძივი კედლის ნახევარი ძალზედ (NW ნაწილი) ძლიერ იყო დაზიანებული. ეს კედელი (იხ. ჩანახატი) წარმოდგენილია სამი რიგი ქვების წყობით (სიგრძე - 0,85მ; სიმაღლე - 0,5მ; სისქე - 0,24მ); S კედელი ძირითადად დიდი ზომის უზარმაზარი ქვატეხილებითაა ამოყვანილი, ორ რიგად აგებული (სიგრძე 1,2მ, სიგანე - 0,9მ, სისქე - 0,4მ). სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. ძეგლის გათხრის შედეგად აღმოჩნდა: ოცი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს საკინძე (#21) და ბრინჯაოს ტარშეურჩენელი სატევარი.

არსებული მასალები მიგვანიშნებენ, რომ ჯერ მოზომეს და ამოიღეს გრძელი ორმო, შემდგომ მოზრდილი ქვატეხილით ამოაშენეს (მშრალი წყობით) სამარხის კამერისა და დრომოსის კედლები. დაკრძალეს მიცვალებული (იატაკზე ორი და ზემოთაც ორი თავის ქალა გაიწმინდა. კოლექტიური ?) ან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ სხვებიც

ჩაასვენეს(?). არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ კამერის დრომოს-ჩასასვლელში ჩვენს მიერ დადასტურებული ახალგაზრდა ინდივიდი მათ შორის ყველაზე გვიან დამარხეს.

<u>წრიულქვაყრილიანი სამარხი #3.</u> აღმოჩნდა 26.10.2012წ. დაზიანების კვალი არ ემჩნეოდა. წრის დმ N-S ღერძზე 6,5მ; O-W მხარეს - 6,4მ. ქვაწრეში ჩართული მოზრდილი ლოდების სიგრძე - 0,85მ; სისქე - 0,3მ.

სამარხს საშუალო ზომის ქვებისგან (სიგრძე - 0,7მ, სიგანე - 0,6მ; სისქე - 0,3მ) შედგენილი ჯავშანი გააჩნდა, ასევე კამერა და დრომოს-ჩასასვლელი (სიგრძე - 3,8მ; სიმაღლე - 1,35მ; აქედან კამერის სიგრძე - 2,3მ, დრომოსის - 1,5მ). კამერის გადახურვა შედგებოდა სამი მოზრდილი ბრტყელი ქვისგან (I - სიგრძე - 1,85მ, სიგანე - 0,9მ, სისქე - 0,95მ; II - სიგრძე - 2,1მ, სისქე - 0,8მ; III - სიგრძე – 2მ, სიგანე - 0,95მ, სისქე - 0,35მ).

კამერა სხვადასხვა ზომის ქვებითაა ამოშენებული (სიმაღლე - 1,35მ, ქვის ზომებია: სიგრძე - 0,6მ; სიგანე - 0,6მ; სისქე - 0,25მ). დრომოსის O ნაწილის სიმაღლე - 0,8მ-ია (ქვების სიგრძე - 0,55მ; სიგანე - 0,52მ), კამერის N კედელი ოთხი რიგი ქვითაა ამოყვანილი (შიდა სიმაღლე - 1,4მ), ხოლო S კედელი ხუთი რიგით (ზომები: 1,1მX0,36მ).

ზემოაღნიშნული სამარხის შესახებ სრული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ი. სოზიაშვილისგან, რომელსაც ამ ეტაპზე დაევალა ძეგლის შესწავლა. დამატებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძეგლის გაძარცვა-დაზიანების მიუხედავად იქ თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა.

<u>გორასამარხი #4</u>, დავაფიქსირეთ 26.X.2012 წელს. იგი ნაწილობრივი დაზიანებისა და გაძარცვის კვალს ატარებდა. დმ. NS მხარეს 10,7მ; შიდაქვაყრილის დმ. 7,4მ, სიმაღლე - 1,2მ. გააჩნია მოზრდილი ქვებით შედგენილი წრიული ქვაყრილი და შიდა შეზურგული მცირე ქვებით წარმოდგენილი ყრილი (ზომების შესახებ ინფორმაცია ბატონ მერაბს გააჩნია). ჩვენი ანაზომებით: დრომოსის და კამერის საერთო სიგრძე - 6,7მ; აქედან დრომოსის - 1,7მ; სიმაღლე - 1,4მ. (იხ. ნახ.)

ზემოაღნიშნული გორასამარხი არ შეგვისწავლია. გავწმინდეთ შესასვლელი, ავზომეთ ძეგლი და მომავალში გათხრებისთვის მოვამზადეთ. გაწმენდის პროცესში დრომოსის მიმდებარე ტერიტორიაზე თიხის ჭურჭლის ნატეხები დადასტურდა. ზემოაღნიშნული მასალა შესასწავლად თან წამოვიღეთ.

<u>ქვაწრიანი სამარხი #5.</u> აღმოჩნდა 26.10.2012. შემოუყვება მოზრდილი ქვებისგან შედგენილი ქვაწრე, რომელიც დიდი (სიგრძე - 0,7მ) და პატარა (0,5მ) ზომის ქვებითაა წარმოდგენილი. შიდა სივრცე მოზრდილი ქვების ჯავშანითაა შევსებული (სიგრძე - 1, სიგანე - 0,7მ).

აქ გათხრების ჩატარების შედეგების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ კობა კობერიძისგან, რომელსაც დაეკისრა ზემოაღნიშნული ძეგლის თავიდან ბოლომდე

შესწავლა. აქვე დაუმატებდით ერთს, რომ გაძარცვულ სამარხში საკინძე და სარდიონის მძივებიც აღმოჩნდა.

III უბანი

III უბანზე ითხრებოდა გორასამარხი #1 (იხ. ისტ. გეგმა). იგი ორი დიდი და პატარა ზომის ქვაწრითაა წარმოდგენილი. გარეთა წრე, რომლის OS მხარე დაზიანებულია (დმ - 18,5მ), შედგებოდა ორმაგად დაწყობილი მოზრდილი ლოდებისაგან (სარტყელი(?), სიგანე - 2,2მ), შიდა (დმ O-W ღერძზე - 6,6მ; NS ღერძზე 7,2მ). ქვაწრე (ლოდების ზომებია: სიგრძე - 1,3მ, სიგანე - 0,8მ, სისქე - 0,35მ) წარმოდგენილი იყო საშუალო ზომის (სიგრძე - 0,57მ; სიგანე - 0,35მ, სისქე - 0,14-0,16მ), ბაზალტის ნატეხებით შედგენილი ჯავშანით, რომლის ზემოთ ოთხი მოზრდილი ლოდი იყო ვერტიკალურად აღმართული (სიგრძე - 1,5მ; სიგანე - 1მ; სისქე - 0,55მ) ქვაწრის შუაგულში დაღრმავებისას გამოიკვეთა მოზრდილი ქვებით, მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში ოვალური, ოდნავ ასიმეტრიული, დასაკრძალავი კამერა. იგი დამხრობილი იყო SO-NW ღერძზე. სამარხი შევსებული იყო ბაზალტის მცირე ზომის ქვებით. დაღრმავების პროცესში არ შეიმჩნეოდა გაძარცვის ან დაზიანების კვალი (სამარხის კამერის სიგრძე - 2,36მ; სიგანე - 1,25მ; სიღრმე - 1,1მ).

დაღრმავების შემდგომ, დაახლოებით კამერის პირიდან 0,80-0,95მ ქვემოთ, სამხრეთ კედელთან, იატაკის დონის სიახლოვეს #1,2,3,4, ხოლო N კედელთან შუაში #5 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა (იხ. ნახ.). კამერის ცენტრალურ ნაწილში ხუთი წვრილფეხა საქონლის თავის ქალა და ძვლები გაიწმინდა. დამატებით, ჩვენს მიერ დასავლეთით გაჭრილ საკონტროლო ჭრილში, პატარა ქვაწრესთან მე-6 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა. შესრულდა გორასამარხის ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია (მ. კასრაძე, მ. ძნელაძე), მოპოვებული არტეფაქტების ეტიკეტები დაზუსტდა და გადათეთრდა, მასალა კომპლექსებად დალაგდა და ყუთებში დაუნჯდა.

სამარხი #1

თ. ჭ. #1

2.11.2012

აღმოჩნდა იატაკის დონის სიახლოვეს, კამერის პირიდან 0,80-0,95მ სიღრმეზე, კამერის Nკედელთან.

კოჭობი თიხის, ზედა და შიდაპირი მორუხო-მოყავისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ოდნავ ხაოიანი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,5სმ. პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირთან შევიწროვებული, ძირი ვიწრო, ძირის ზედაპირი ატკეცილი. ჭურჭელი ნაკლულია, აკლია პირ-გვერდის ნაწილები. სიმაღლე – 12სმ, პირის დმ – 7,7სმ, მუცლის დმ – 12,9სმ, ძირის დმ – 6,9სმ.

თ. ჭ. #2

2.11.2012

აღმოჩნდა იატაკის დონის სიახლოვეს, კამერის პირიდან 0,80-0,95მ სიღრმეზე, კამერის Nკედელთან.

კოჭობი თიხის, მოყავისფრო-მორუხო, ზედაპირი გლუვი, შიდაპირი ხაოიანი, კეცი უხეში, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,7სმ. ჭურჭელი დაშლილია, აკლია პირ-გვერდის ფრაგმენტები. მხარს გარშემოუყვება სამი, ამოღარული, კონცენტრული ხაზი და ქვედა ხაზზე ფუძით მიბჯენილი ორფა სამკუთხედები, რომელთა შორის ირიბად, ღრმა წერტილებია დატანილი. ორნამენტი სამ ფრაგმენტზეა შემორჩენილი.

თ. ჭ. #3

2.11.2012

აღმოჩნდა იატაკის დონის სიახლოვეს, კამერის პირიდან 0,80-0,95მ სიღრმეზე, კამერის Nკედელთან.

თიხის მოზრდილი ჭურჭლის მუცლის ფრაგმენტები, 3 ცალი. მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდაპირი ხაოიანი, კეცი უხეში, სილის და თეთრი მინარევით, სისქე – 0,5სმ. მუცელი შუა ადგილას გამობერილი.

თ. ჭ. #4

2.11.2012

აღმოჩნდა იატაკის დონის სიახლოვეს, კამერის პირიდან 0,80-0,95მ სიღრმეზე, კამერის Nკედელთან.

კოჭობი თიხის, ზედაპირი მორუხო-მოყავისფრო, გლუვი, შიდაპირი ხაოიანი. კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,5სმ. პირი გადაშლილი, ყელი ცილინდრული, მუცელი მრგვალი, ძირთან ოდნავ შევიწროვებული, ძირი განიერი და ბრტყელი. ჭურჭელი ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი. ძირის დმ – 7სმ.

ჭურჭელთან ერთად იდო ობსიდიანის ნატეხი.

თ. ჭ. #5

2.11.2012

აღმოჩნდა კამერის N კედელთან, შუაში.

ქოთანი თიხის, მოშაო-მოყავისფრო, უხეშად ნაძერწი, გლუვი, კეცი უხეში, სილის და კენჭების მინარევით, სისქე – 1სმ. პირი გადაშლილი, მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი. ჭურჭელი ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი.

ჭურჭელთან იდო ობსიდიანის ნატეხი.

თ. ჭ. #6

2.11.2012

აღმოჩნდა დიდ და პატარა ქვის წრეს შორის, საკონტროლო თხრილში.

ქილა თიხის, ზედაპირი და კეცი მორუხო-მოყავისფრო, ხაოიანი, კეცი უხეში, სილის დიდი მინარევით, აქვს თეთრი ჩანართებიც, სისქე – 1,1სმ. ჭურჭელი ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი, აკლია პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები. პირი გადაშლილი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირთან შევიწროვებული, ძირი ბრტყელი. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილს გარშემოუყვება ამოღარული, ოდნავ ირიბი ჭდეების ერთი რიგი, ძირს - ამოღარული, გრძელი, სხივისებრი ხაზები. ძირის დმ – 12სმ.

ობსიდიანის ნატეხი #7

3.11.2012

აღმოჩნდა #4 თიხის ჭურჭელთან ერთად.

ობსიდიანის ნატეხი, რუხი, გამჭვირვალე, სიგრძე – 2სმ, სიგანე – 1,7სმ. (შესაძლოა საფხეკის დანიშნულება ქონდა).

ობსიდიანის ნატეხი #8

3.11.2012

აღმოჩნდა #5 თიხის ჭურჭელთან ერთად.

ობსიდიანის ნატეხი, რუხი, ნახევრად გამჭვირვალე, სიგრძე – 3,7სმ, სიგანე – 2,2სმ. (შესაძლოა ქონდა საფხეკის დანიშნულება).

სამარხი #2

თ. ჭ. #1

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.

ქილა თიხის, ზედაპირი შავი, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი და კეცი მოშავო-მოყავისფრო, შიდაპირი ოდნავ ხაოიანი, კეცი მკრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,6სმ. პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირი ბრტყელი. პირს შიდა მხრიდან ფართო, ამოღარული ხაზი გარშემოუყვება. ჭურჭელი ფრაგმენტირებულია, აკლია პირის, ყელის, მუცლისა და ძირის ფრაგმენტები.

თ. ჭ. #2

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის თავზე SO კუთხეში, #1 თიხის ჭურჭლის დასავლეთ მხარეს.

ქილა თიხის, ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი და კეცი მოშაო-მოყავისფრო, ხაოიანი, კეცი მკვრივი, სილის და თეთრი მინარევით, სისქე – 0,4სმ. პირის და ყელის დიდი ნაწილი მოტეხილი აქვს. ყელი ცილინდრული, ტანი მსხლის ფორმის, ძირი ვიწრო და ბრტყელი. ყელის ძირს და მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას გარშემოუყვება ორი სარტყელი და ქვედა სარტყელზე ფუძით მიბჯენილი სამ-სამად დაჯგუფებული, წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები. ორნამენტი ოდნავ ამოკაწრული ხაზებით არის შესრულებული. სარტყლები და სამკუთხედები სავარცხლის კბილის შტამპით არის შესრულებული. ზედა სარტყელის შტამპი ქვედა სარტყელისა და სამკუთხედების შტამპისგან განსხვავებით მსხვილია. აქ შტამპით შესრულებული ირიბი ხაზებია მოცემული, ქვედა სარტყელში კი - ერთმანეთის თანმიმდევრობით, ოდნავ მორკალული, შვეული და ჰორიზონტალური ხაზები.

სამკუთხედებიც ერთმანეთის ქვემოთ განლაგებული, ოდნავ მორკალული ხაზებით არის შევსებული. ჭურჭლის გარშემო, სამად დაჯგუფებული სამი სამკუთხედია შემორჩენილი. მეოთხე ჯგუფის მხოლოდ ორი სამკუთხედის წვერი ჩანს. ქილის ამ მხარეს პირგვერდისა და ძირის ნაწილი აღდგენილია. სავარაუდოდ, ამ ადგილას იყო დატანილი სამკუთხედების მეხუთე ჯგუფი. ჭურჭელი ნაწილობრივ არის აღდგენილი. შემორჩენილი სიმაღლე – 27,5სმ, მუცლის დმ. – 25,5სმ, ძირის დმ. – 10სმ.

თ. ჭ. #3

3.11.2012

ბადია თიხის, მორუხო-მოყავისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით. პირი ოდნავ შიგნით გადახრილი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირთან შევიწროვებული. ძირი ვიწრო და ბრტყელი. პირს ქვემოთ და კალთაზე ბრტყელგანივკვეთიანი ლენტური ყურია მიძერწილი, რომელიც პირს ზემოთ არის აცქვეტილი. პირს ქვემოთ ბადიას ოდნავ ამოღარული კონცენტრული ხაზი გარშემოუყვება. სიმაღლე – 9,2სმ, პირის დმ – 16სმ, მუცლის დმ – 17,5სმ. ჭურჭელი აღდგენილია.

თ. ჭ. #4

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის დასავლეთ კედელთან, #2 თიხის ჭურჭლის ჩრდილოეთით.

ქილა თიხის, ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი მოშაო-მოყავისფრო, ხაოიანი, კეცი ორფენიანი: შავი და ყავისფერი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,6სმ. პირი გადაშლილი, ყელი საშუალო სიმაღლის, მუცელი მხარში გაზიდული, ძირისკენ მკვეთრად შევიწროვებული, ძირი ბრტყელი. პირს შიდა მხრიდან გარშემოვლებული აქვს წრიული ამოღარული ხაზი. ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილს გარშემოუყვება ასევე შესრულებული ორი, კონცენტრული ხაზით შედგენილი სარტყელი და ქვედა ხაზზე წვერით მიბჯენილი, მუცელზე დასვვებული, ორფა ტეხილი ხაზი. სარტყეელი და სამკუთხედები სავარცხლის კბილის მსხვილი შტამპით დატანილი, ირიბი ხაზებით არის შევსებული. ჭურჭელი ფრაგმენტებად არის შევსებული.

თ. ჭ. #5

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის NO კუთხეში (მეოთხე ჭურჭლის ჩრდილოეთ მხარეს)

ქილა თიხის, შავპრიალა, შიდაპირი და კეცი მოშაო-მოყავისფრო, ხაოიანი, კეცი მკვრივი, სილის და თეთრი მინარევით. პირი გადაშლილი, ბაკო ვიწრო და ბრტყელი. ყელი მაღალი, ტანი კვერცხის ფორმის, ძირი ვიწრო და ბრტყელი. ყელზე და მხარზე დატანილია ამოღარული ხაზებით შესრულებული სამი სარტყელი და ქვედა სარტყელზე მიბჯენილი ორფა ტეხილი ხაზი. სარტყლები სავარცხლის წვრილი შტამპით შესრულებული ირიბი ხაზებით არის შევსებული, ხოლო ტეხილ ხაზებს შორის ასევე შესრულებული ირიბი და შვეული ხაზებია დატანილი. ქვედა ტეხილი ხაზები ბოლოში იკვეთება. სიმაღლე – 32,8სმ, პირის დმ – 13,8სმ, მუცლის დმ – 24,2სმ, ძირის დმ – 10,8სმ. ჭურჭელი აღდგენილია.

თ. ჭ. #6

3.11.2012

არმოჩნდა SW კუთხეში #5 და #7 თიხის ჭურჭლებთან ერთად.

სასმისი თიხის, მოშავო-მოყავისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი. კეცი მკვრივი, სილის და თეთრი მინარევით, სისქე – 0,7სმ. პირი ოდნავ შიგნით გადახრილი, ზემოდან უსწორმასწორო. გვერდები ზედა ნაწილში მსუბუქად გამობერილი და ძირთან შევიწროვებული. ქუსლი დაბალი, ძირი შეზნექილი. პირს ქვემოთ და გვერსზე მრგვალგანივკვეთიანი ყურია ირიბად მიძერწილი. ჭურჭელი ასიმეტრიულია. სასმისი მთლიანია. სიმაღლე – 8,7სმ, პირის დმ – 12,5სმ, მუცლის დმ – 13,4სმ, ძირის დმ – 5,8სმ.

თ. ჭ. #7

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის NO კუთხეში.

ქილა თიხის, ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი და კეცი ღია, მოყავისფრო-მონაცრისფრო, ხაოიანი. კეცი ორფენიანი: შავი და მოწითალო, მკვრივი, სილის და თეთრი მინარევით, სისქე – 0,6სმ. ჭურჭელი ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი, აკლია პირის, ყელის, გვერდებისა და ძირის ფრაგმენტები. ყელი მაღალი, ტანი მსხლის ფორმის, ძირთან შევიწროვებული, ძირი ბრტყელი. მხარი და მუცლის ზედა ნაწილი შემკულია მკვეთრად ამოღარული ორნამენტით: სარტყელით და სარტყელის ქვედა ხაზზე წვერებით მიბჯენილი ორფა ტეხილი ხაზებით. ორნამენტი სავარცხლის კბილის მსხვილი შტამპით დატანილი გრძელი, ირიბი ხაზებით არის შევსებული.

თ. ჭ. #8

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, მე-7 თიხის ჭურჭლის აღმოსავლეთ მხარეს.

ქილა თიხის, ზედაპირი შავპრიალა, პირთან და ყელთან გარედან და შიგნიდან მოყავისფრო. შიდაპირი შავი, გლუვი, კეცი მშავო-მოყავისფრო, მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით. პირი ვიწრო, გადაშლილი, ბაკოც ვიწრო და ბრტყელი. ყელი დაბალი, ტანი მსხლის ფორმის, ძირი ვიწრო და ბრტყელი. ჭურჭელზე დატანილია მსუბუქად ამოღარული ორნამენტი: ბაკოს გარშემოუყვება კონცენტრული ხაზი, მხარს სარტყელი და მასზე ფუძით მიერთებული, მუცელზე დაშვებული, ორფა სამკუთხედები. სარტყელი და სამკუთხედებს შორის არე სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული, გრძელი, ირიბი ხაზებით არის შევსებული. ჭურჭლის გარშემო შემორჩენილია ექვსი სამკუთხედი და მე-7 სამკუთხედის წვერი. ორნამენტი უხეშად არის შესრულებული. ჭურჭელი აღდგენილია. სიმაღლე – 27,5სმ, პირის დმ – 13სმ, მუცლის დმ – 23,4სმ, ძირის დმ – 11სმ.

თ. ჭ. #9

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის შუა ნაწილში #8 თიხის ჭურჭლის აღმოსავლეთ მხარეს. ნაწილობრივ ეხება მეათე და მეთერთმეტე თიხის ჭურჭლებს.

ქილა თიხის, მოყავისფრო-მოშავო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანი, კეცი მკვრივი, სილანარევი, სისქე – 0,7სმ. პირი ფართო, გადაშლილი, ყელი საშუალო სიმაღლის, ცილინდრული, მუცელი სფერული. მხარზე ერთმანეთის საპირისპიროდ ორი წყვილი, რელიეფური, ოდნავ კონუსური კოპია დაძერწილი. ჭურჭელი ნაწილობრივ არის აღდგენილი, აკლია პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები. სიმაღლე - .... სმ, პირის დმ დაახ. – 15სმ, მუცლის დმ – 26სმ.

თ. ჭ. #10

3.11.2012

აღმოჩნდა დასავლეთ კედლის გასწვრივ მე-9 თიხის ჭურჭლის ქვეშ.

ქილა თიხის, ზედაპირი მონაცრისფრო-მოყავისფრო, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი და კეცი მორუხო-მოყავისფრო, გლუვი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით.

პირი ვიწრო, ზემოდან სწორი, ბაკოც ვიწრო, ბრტყელი, ყელი დაბალი, სწორი. მუცელი ზედა ნაწილში სფერული, ძირთან შევიწროვებული, ძირი ვიწროა და ბრტყელი. თიხის ჭურჭელი შემკულია ოდნავ ამოღარული ორნამენტით: პირს გარშემოუყვება კონცენტრული ხაზი, მხარს - სარტყელი, რომელსაც ქვემოდან წვერებით უერთდება მუცელზე დაშვებული, გრძელი, ორფა ტეხილი ხაზის ზედა წვერები. ქვედა ტეხილი ხაზის წვერები რამდენიმე ადგილას ერთმანეთს კვეთს. სარტყელი და ტეხილ ხაზებს შორის სივრცე სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული გრძელი ირბი ხაზებით არის შევსებული. სიმაღლე – 23სმ, პირის დმ. – 13სმ, მუცლის დმ. – 21,5სმ, ძირის დმ. – 8,3სმ. ჭურჭელი აღდგენილია.

თ. ჭ. #11

3.11.2012

აღმოჩნდა დასავლეთ კედელთან მე-10 ჭურჭლის აღმოსავლეთ მხარეს.

ქილა თიხის, ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი მონაცრისფრო, ხაოიანი, კეცი ორფენიანი: შავი და მოწითალო, უხეში, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,8სმ. პირი ფართო, გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი მხარში გაზიდული, მრგვალი, ძირთან შევიწროვებული, ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარს გარშემოუყვება ამოღარული კონცენტრული ხაზი. ცალ მხარეს ამ ხაზს პარალელური ხაზ გასდევს. ზედა ხაზიდან 1 სმ დაშორებით მეორე, ოღონდ ოდნავ შესამჩნევად ამოღარული კონცენტრული ხაზია, რომელიც ზედა ხაზთან ერთად ქმნის სარტყელს. ქვედა ხაზზე ფუძით არის მიბჯენილი მსუბუქად ამოღარული ხაზებით შესრულებული, მუცელზე დაშვებული ფართო, სამად დაჯგუფებული სამკუთხედები. საპირისპირო მხარეს ოთხი ასეთი სამკუთხედია დატანილი. სარტყელი სავარცხლის კბილის შტამპით დატანილი გრძელი, ირიბი ხაზებით არის შევსებული, სამკუთხედები ასეთივე შტამპით შესრულებული ხაზებით, რომლებიც ფუძიდან ეშვება და სამკუთხედის წვერთან არის შეკრებილი. ჭურჭელი ნაწილობრივ არის აღდგენილი. დაახ. პირის დმ – 14სმ, მუცლის დმ - 25,6სმ ძირის დმ – 10,5სმ.

თ. ჭ. #12

3.11.2012

აღმოჩნდა ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ, მეთერთმეტე ჭურჭლის აღმოსავლეთ მხარეს.

ქილა თიხის, მონაცრისფრო-ღია ყავისფერი, ზედაპირი პრიალა, შიდაპირი გლუვი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით. პირი ფართო, გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირთან ოდნავ შევიწროვებული. პირის და ყელის დიდი ნაწილი ატკეცილია, პირს შიგნიდან განიერი ღარი გარშემოსდევს. ყელიდან მხარზე

გადასვლის ადგილს გარშემოუყვება ორი, ამოღარული ხაზით შესრულებული სარტყელი და სარტყლის ქვედა ხაზზე ფუძით მიბჯენილი, წვერით მუცელზე დაშვებული 12 სამკუთხედი. სარტყელი სავარცხლის კბილის მსხვილი შტამპით, ოდნავ ირიბი, მოკლე ხაზებით არის შევსებული, სამკუთხედები ასეთივე შტამპით, შუამდე შვეული, ბოლოში კი – ირიბი ხაზებით. ჭურჭელი აღდგენილია. სიმაღლე – 20სმ, პირის დმ – 12,9სმ, მუცლის დმ – 21,1სმ, ძირის დმ – 12,3სმ.

თ. ჭ. #13

3.11.2012

თიხის ქილის მუცლის და კალთის ფრაგმენტები, მორუხო-მოყავისფრო, სუსტად ნაპრიალები ზედაპირით და გლუვი შიდაპირით. კეცი მკვრივი, სილის მინარევით, სისქე - 0,5სმ.

თ. ჭ. #14

აღმოჩნდა კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

ჭურჭელი თიხის, ზედა და შიდაპირი მორუხო-მონაცრისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანი, კეცი მოყავისფრო, მკვრივი, სილანარევი, სისქე – 0,3სმ. პირმოყრილი, მხარწიბოიანი, წიბოს ქვემოთ კალთა ძირისკენ შევიწროვებულია. ჭურჭლის კალთის დიდი ნაწილი და ძირი არ შემორჩენილია. ბრტყელ ბაკოს გარშემოუყვება კონცენტრული ხაზებისგან შედგენილი სარტყელი და სარტყელის ქვედა ხაზზე წვერებით მიბჯენილი ორფა ტეხილი ხაზი. სარტყელი და სამკუთხედები ამოღარული ხაზებით არის შესრულებული და შევსებულია სავარცხლის კბილის მსხვილი შტამპით დატანილი ირიბი ხაზებით. პირის დმ. – 9,5სმ, მუცლის დმ. – 17,7სმ. ჭურჭლის ზედაპირის დიდი ნაწილი ატკეცილია. ჭურჭელი ნაწილობრივ არის აღდგენილი.

თ. ჭ. #15

3.11.2012

აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

კოჭობი თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანი. კეცი უხეში, სილის და ხშირი, წვრილი თეთრი მინარევით. ჭურჭლის ზედაპირი ალაგ-ალაგ ატკეცილია. პირი მოყრილი, ბაკო ბრტყელი. ტანი ბიკონუსური, მუცელი

მკვეთრწიბოიანი, კალთა ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირი განიერი და ბრტყელი. პირს ზემოდან ღარი გარშემოუყვება. სიმაღლე – 7,5სმ, პირის დმ. – 8სმ, მუცლის დმ. – 20,2სმ, ძირის დმ. – 9სმ.

თ. ჭ. #16

3.11.2012

აღმოჩნდა დრომოსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

თიხის ჭურჭლის ძირ გვერდის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მონაცრისფრო, ზედაპირი გლუვი, შიდაპირი ოდნავ ხაოიანი, კეცი უხეში, სილის, თეთრი და წვრილი მბრწყინავი მინარევით, სისქე – 0,7სმ. გვერდი ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირი ბრტყელი.

თ. ჭ. #17

3.11.2012

ბადია თიხის, ზედაპირი მოწითალო-მოყავისფრო, რუხი ლაქებით. შიდაპირი და კეცი მორუხო-მოყავისფრო, ორივე მხარე გლუვი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,6სმ. პირი ოდნავ შიგნით გადახრილი, გვერდი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროვებული, ქუსლიანი. ქუსლი ძალიან დაბალი, მრგვალი, ძირი შეზნექილი. სიმაღლე – 10,4სმ, პირის დმ – 17,8სმ, მუცლის დმ – 18,4სმ, ძირის დმ – 7,5სმ. აღდგენილია ნაწილობრივ, აკლია პირ-გვერდის ფრაგმენტი.

თ. ჭ. #18

4.11.2012

აღმოჩნდა სამარხის იატაკში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

სასმისი თიხის, ზედა და შიდაპირი შავი, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანი, კეცი მორუხო-მოყავისფრო, წვრილი, თეთრი მინარევით, სისქე – 0,5სმ. პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი, წელში სუსტად გამოყვანილი. კალთაწიბოიანი, ძირი ვიწრო და ბრტყელი. პირს ქვენმოთ და კალთაზე წახნაგოვანი, გრძელი ყურია მიძერწილი. სიმაღლე – 7,5სმ, პირის დმ. – 6,9სმ, დმ. კალთასთან – 7,2სმ, ძირის დმ. – 3,3სმ. სასმისის პირი ზოგიერთ ადგილას ოდნავ ჩამოტეხილია. ჭურჭელს თან ახლავს ძვალი, რომელიც ალბათ ჭურჭელში იდო.

თ. ჭ. #19

3.11.2012

აღმოჩნდა იატაკზე, სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

სასმისი თიხის, ცალყურა. ზედაპირი ბაცი, მოყავისფრო-მონაცრისფრო, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი და კეცი ბაცი ყავისფერი. კეცი მკვრივი, სილანარევი, სისქე – 0,5სმ. პირი მსუბუქად გადაშლილი, წელში ოდნავ გამოყვანილი, კალთა მკვეთრწიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირი ვიწრო და ბრტყელი. პირზე და გვერდზე მიძერწილია ზემოდან მომრგვალებული და შიგნიდან ბრტყელი, გრძელი ყური. ჭურჭელს აკლია გვერდის და ძირის ფრაგმენტები. აღდგენილია ნაწილობრივ. სიმაღლე – 8,8სმ, პირის დმ – 7,1სმ, მუცლის დმ – 7,7სმ.

თ. ჭ. #20

3.11.2012

ჯამი თიხის, ცალყურა, ზედაპირი და კეცი მოშავო-მოყავისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი მოყავისფრო-მონაცრისფრო, გლუვი, კეცი მკვრივი, სილანარევი, სისქე – 0,7სმ. პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირთან ოდნავ შევიწროვებული, ძირი ვიწრო და ბრტყელი, მისი დიდი ნაწილი ატკეცილია. პირს ქვემოთ და მუცელზე მიძერწილია ზემოდან ოდნავ ჩაღარული, ბრტყელი ყური, რომელიც ზედა ნაწილში განიერია, ბრტყელია და ზემოთ არის აცქვეტილი. პირს ქვემოთ, გარედან მსუბუქი ღარი გარშემოუყვება. სიმაღლე – 8,3სმ, პირის დმ – 18,1სმ, მუცლის დმ – 19,5სმ, ძირის დმ – 7,1სმ.

#21

3.11.2012

იდო #13 თიხის ჭურჭელთან ერთად.

შურდულის ქვა, მორუხო-მოყავისფრო ქვის, დმ - 3,7სმ

#22

3.11.2012

იდო #13 თიხის ჭურჭელთან ერთად.

ობსიდიანის ანატკეცი, ცალ მხარეს წვეტიანი. სეიძლება იყოს სამუშაო იარაღი. სიმაღლე - 4,4სმ, სიგანე თავთან - 1,5სმ, მხრებთან - 5სმ.

#23

1.11.2012

აღმოჩნდა დასავლეთ კედლის შუა ნაწილში თანამედროვე დონიდან 0,85მ ქვემოთ.

საკინძი ბრინჯაოსი ხუთკოპიანი თავით. ერთი კოპი მირჩილულია თავის ცენტრში, ოთხი კოპი ნახევარსფეროს კუთხეებში. თავს ქვემოთ ღერო ბრტყელია, მასზე ოვალური მოყვანილობის 0,6სმ სიგრძის და 0,2სმ დიამეტრის ხვრელია დატანილი. ღერო მრგვალგანივკვეთიანია. წვეტი მოტეხილია. შემორჩენილი სიგრძე – 7სმ, დმ თავთან – 1 სმ, ბოლოში – 0,1სმ.

#24

4.11.2012

აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედლის შუა ნაწილში, მიცვალებულის ქვედა კიდურებთან.

სატევარი ბრინჯაოსი, თავი სამკუთხედის ფორმისაა, რომელზედაც დატანილია სამი, 0,3სმ დიამეტრის სამანჭვლე ხვრელი, ერთი წვერის, ორი კი – მხრების კუთხეებში. სატევრის პირი ბრტყელია, შუაში გასდევს ოდნავ შესამცნევი ქედი. მხრებიდან წვერომდე პირი ოდნავ შესამჩნევად იწროვდება და მთავრდება ოდნავ მომრგვალებული წვერით. სიგრძე – 21,4სმ, სიგანე თავთან – 1,2სმ, მხართან – 3,8სმ, შუაში – 3სმ, წვერთან – 1სმ.

სამარხი #3

თ. ჭ. #1

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის ჩრდილოეთ კედელთან.

ბადია თიხის, ზედა და შიდა პირი რუხი, სუსტად ნაპრიალები. კეცი მორუხო-მოყავისფრო, მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი ინარევით, სისქე - 0,7სმ. პირი ფართო, ოდნავ შიგნით გადახრილი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირთან შევიწროვებული, ძირი განიერი და ბრტყელი. პირს ქვემოთ და მუცელზე მიძერწილიყოფილა ყური, რომელიც მოტეხილია. პირს ქვემოთ გარშემოუყვება ამოღარული, კონცენტრული ხაზი. რესტავრირებულია. სიმაღლე - 9,1სმ, პირის დმ - 17სმ, მუცლის დმ - 19,5სმ, ძირის დმ - 10,2სმ.

თ. ჭ. #2

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის აღმოსავლეთ მხარეს დრომოსის კედელთან - 140სმ.

თიხის ბადიის პირ-გვერდის მოზრდილი ფრაგმენტი. მოშავო-მორუხო, ზედა და შიდაპირი სუსტად ნაპრიალები კეცი მკვრივი, სილის და წვრილი, თეთრი მინარევით, სისქე - 1სმ. პირი ოდნავ შიგნით გადახრილი, ბაკო ვიწრო და ბრტყელი, მუცელი მრგვალი, ძირისკენ ოდნავ შევიწროვებული.

თ. ჭ. #3

3.11.2012

თიხის ქილის პირის და მხრის ფრაგმენტი, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,7სმ. პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი, ბაკო ვიწრო და ბრტყელი, ყელი დაბალი, მხარი გაზიდული.

თ. ჭ. #4

3.11.2012

აღმოჩნდა დრომოსის იატაკზე.

კათხა თიხის, მოყავისფრო-მორუხო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარვით, სისქე - 0,4სმ. პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი, მუცელი შუა ადგილას გამობერილი, კალთა ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირთან ქუსლისებურად გამოყოფილი, დაბალი. ძირი ბრტყელი. პრს ქვემოთ

და გვერდიდან მუცელზე გადასვლის ადგილას მიძერწილია მრგვალგანივკევთიანი ყური. ყური ორივე მხარეს სამ ადგილას, პირიდან კალთამდე, დაშვებულია სამ-სამად დაჯგუფებული, ამოკაწრული, შვეული ხაზი, რომლებიც კვეთენ კალთის ზემოთ დატანილ ასევე ამოკაწრულ, ორ ჰორიზონტალურ ხაზს და მათთან ერთად ქმნიან ჩარჩოს. ისევე როგორც შვეულ ხაზებს, ჰორიზონტალურ ხაზებსაც, ნაპირებში გარშემოუყვება მოკლე, წვრილი, ირიბი, ამოკაწრული ორნამენტი. ჭურჭელი რესტავრირებულია. სიმაღლე - 11,8სმ, პირის დმ - 9,4სმ, მუცლის დმ - 11,5სმ, ძირის დმ - 5სმ.

თ. ჭ. #5

აღმოჩნდა 120 სმ სიღრმეზე.

თიხის ჯამის (?) პირის, მუცლის ფრაგმენტები და ქუსლი. მუქი ყავისფერი, გლუვი, კეცი მკვრივი, სილანარევი, სისქე - 0,4სმ. პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი, ბაკო ომრგვალებული, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირთან მკვეთრად შევიწროვებული. ძირთან ოდნავ ქუსლისებურად გამოყოფილი, დაბალი, ძირი ვიწრო, უსწორმასწორო. თიხის ჭურჭელი უხეშად არის ნაძერწი. ძირის დმ - 6,5სმ.

თ. ჭ. #6

4.11.2012

აღმოჩნდა სამხრეთ კედელთან, ცენტრში, 145სმ სიღრმეზე.

თიხის ქილის ყელის, მხრისა და მუცლის ფრაგმენტები 2ც. ზედაპირი რუხი, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი და კეცი მოყავისფრო, მკვრივი, სილის და წვრილი, თეთრი მინარევით, სისქე - 0,5სმ. ყელი საშუალო სიმაღლის, მხარი გაზიდული, მუცელი ზედა ნაწილში ამობერილი. ყელს ქვემოთ გარშემოუყვება მსუბქად ამოღარული კონცენტრული ხაზი.

თ. ჭ. #7

3.11.2012

თიხის ქილის ყელის, მხრის და გვერდის ფრაგმენტები, მორუხო-მოყავისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანი, უსწორმასწორო. კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,5სმ. ყელი დაბალი, მხარი დაქანებული, მუცელი სუსტად გამობერილი. ყელს ძირში გარშემოუყვება მსუბუქად ამოღარული კონცენტრული

ხაზი და მის ქვემოთ სავარცხლის კბილის შტამპით დატანილი გრეხილი, ირიბი წერტილოვანი ხაზები. ორნამენტს ქვემოთ შემორჩენილია ტლანქად შესრულებული ასევე ამოღარული, ერთმანეთის გვერდით დატანილი, ორფა სამკუთხედები, რომელთა შორის სივრცე ირიბი, სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული წერტილოვანი ხაზებია დატანილი.

თ. ჭ. #8

3.11.2012

აღმოჩნდა 120 სმ სიღრმეზე.

ჯამი თიხის, მუქი ყავისფერი, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანი, კეცი კვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,6სმ. პირი ფართო, გადაშლილი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირითან ოდნავ ქუსლისებურად გამოყვანილი. ქუსლი დაბალი. ძირი ვიწრო და ბრტყელი. ჭურჭელი ფრაგმენტებად არის წარმოადგენილი. სამ ფრაგმენტიზე შემორჩენილია პირს ქვემოთ ჰორიზონტალურად მიძერწილი, კუთხეებმომრგვალებული მინიატურული შვერილები. პირის დმ - დაახ. 14,7სმ, ძირის დმ - 6,2სმ.

სამარხი #4

თ. ჭ. #1

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, აღმოჩნდა კამერის გაწმენდის დროს.

1. თიხის მოზრდილი ჭურჭლის ბრტყელი ძირის ფრაგმენტი, რუხი, ოდნავ ხაოიანი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,9სმ, ძირის დმ - 12სმ.

2. თიხის მცირე ზომის ჭურჭლის ძიორ-გვერდის ფრაგმენტი, მორუხო-მოყავისფრო, ოდნავ ხაოიანი. კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,6სმ. გვერდი ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირი ბრტყელი.

3. თიხის მოზრდილი ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი. ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი და კეცი მოყავისფრო-მონაცრისფრო, კეცი ოდნავ ხაოიანი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,7სმ.

სამარხი #5

თ. ჭ. #1

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის ჩრდილოეთით, ცენტრალურ ნაწილში.

სასმისი თიხის, მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი, პირი ვიწრო და სწორი. გვერდები დაქანებული, ქვედა ნაწილში სუსტად გამობერილი. ძირისკენ მკვეტრად შევიწროვებული, ქუსლი დაბალი, ოდნავ გამოყვანილი, ძირი ვიწრო და ბრტყელი. პირს ქვემოთ და მუცელზე დატანილია ყურის ბოლოების ჩასამაგრებელი ორი ფოსო. სიმაღლე – 9,6სმ, პირის დმ – 7,7სმ, მუცლის დმ – 9,3სმ, ზირის დმ – 4,4სმ.

თ. ჭ. #2

3.11.2012

აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.

ქილა თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი. კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,7სმ. პირი ვიწრო, გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარი ოდნავ გაზიდული. პირზე შემოვლებულია ამორარული წრიული ხაზი. ყელს ზირში და მხარს გარშემოუყვება ამოღარული ხაზებისგან შესრულებული ორი სარტყელი, რომლებიც სავარცხლის კბილის წვრილი შტამპით დატანილი ირიბი ხაზებით არის შევსებული. ჭურჭლის მუცლისა და ძირის ნაწილები არ სემორჩენილა.

თ. ჭ. #3

3.11.2012

აღმოჩნდა კამერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.

კოჭობი თიხის, ზედაპირი ყავისფერი, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი და კეცი მორუხო-მოყავისფრო. სიდაპირი სუსტად არის ნაპრიალები. კეცი უხეში, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე – 0,9სმ. პირი ფართო, გადაშლილი, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროვებული, ძირი ოდნავ ქუსლისებურად გამოყოფილი, ბრტყელი. პირს ქვემოთ და მუცელზე მიძერწილია მრგვალი ყური. სიმაღლე – 13,2სმ, ძირის დმ – 8სმ.

თ. ჭ. #4

1.11.2012

აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან, სამარხის ზედაპირიდან 85სმ სიღრმეზე.

ქილა თიხის, ზედაპირი მოყავისფრო-მოწითალო, რუხი ლაქით. სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი მოწითალო-მოყავისფრო, გლუვი. კეცუ უხეში, სილისა და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,7სმ. პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი, ბაკო ვიწრო და ბრტყელი, ყელი მაღალი, ცილინდრული, მუცელი მხარში გაზიდული. ქილის ცალი მხარე, მუცლის და ძირის ნაწილები არ შემორჩენილა. ყელის ძირს გარშემოუყვება ამოღარული, ორი უსწორმასწორო ხაზისგან შესრულებული სარტყელი, რომელიც ოდნავ ამოკაწრული, ირიბი ხაზებით არის შევსებული. მხარზე ურთიერთ საპირისპიროდ წყვილი, კონუსური კოპებია დაძერწილი.

თ. ჭ. #5

3.11.2012

აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (ცხოველის ძვლებით).

ქილა თიხის, ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი და კეცი მორუხო-მონაცრისფრო, შიდაპირი ხაოიანი, კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,5სმ. შემორჩენილია ჭურჭლის ძირის, მხრისა და მუცლის მოზრდილი ფრაგმენტი. გვერდი ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირი ოდნავ ქუსლისებურად გამოყვანილი, განიერი და ბრტყელი. მხარზე შემორჩენილია ზემოდან გამოყვანილი (დმ - 1,3სმ), ოდნავ შესამჩნევი, ორი მრგვალი კოპი. ძირის დმ - 10,9სმ.

თ. ჭ. #6

აღმოჩნდა სამარხის შუაში.

თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდისა და ქუსლის ორი ფრაგმენტი, ზედაპირი მორუხო-მოყავისფრო, წითელი ლაქით, შიდაპირი მონაცრისფრო-მოყავისფრო, ორივე მხარე გლუვი. კეცი მკვრივი, სილანარევი, სისქე - 0,6სმ. გვერდი ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირთან ქუსლისებურად გამოყვანილი, ქუსლი დააბალი, ძირი ბრტყელი. ძირის დმ - 5,7სმ.

თ. ჭ. #7

3.11.2012

აღმოჩნდა #2 თიხის ჭურჭლის ქვემოთ.

თიხის ქილის მუცლის ფრაგმენტები, 3 ცალი. ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი და კეცი რუხი, შიდაპირი ხაოიანი. კეცი მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით, სისქე - 0,6სმ. მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირისკენ შევიწროვებული.

თ. ჭ. #8

ბადია თიხის, ყავისფრად გამომწვარი, ზედაპირიზე აქვს შავი ლაქები, რომლებიც შეიძლება იყოს ცეცხლის კვალი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი. კეცი მკვრივი, სილის და წვრილი მბრწყინავი მინარევით, სისქე - 0,8სმ. პირი ოდნავ შიგნით გადახრილი, მუცელი ზედა ნაწილში გამოებერილი. ჭურჭელი ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი. აკლია პირის, მუცლის და ძირის ნაწილები. პირზე და მუცელზე მიძერწილია ზემოდან მომრგვალებული და შიგნიდან ბრტყელი, გრძელი ყური.

#9

1.11.2012

აღმოჩნდა სამარხის ზედაპირიდან 90სმ სიღრმეზე.

სარქველი ტუფოგენური ქვის, მუქი შინდისფერი. ნახევარსფერული, შუაში ოდნავ ჩაღრმავებული, თავზე შუა ადგილას დაბალი მრგვალი შვერილით. სიმაღლე - 1,9სმ, დმ - 7,9სმ, შვერილის სიმაღლე - 0,5სმ, დმ - 2,7სმ.

#10

26.10.2012

მძივები სარდიონის, 4 ცალი. მოწითალო, გაუმჭვირვალე, 3 ცალი მრგვალი, სიმარლე - 0,4-1სმ, დმ - 0,4-0,6სმ, ხვრელის დმ - 0,1სმ; 1 ცალი კონუსური მოყვანილობის, სიმაღლე - 0,5სმ, დმ - 0,6სმ, ხვრელის დმ - 0,1სმ.

#11

2.11.2012

აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 90სმ სიღრმეზე.

მძივი სარდიონის, 1ც. წითელი, გამჭვირვალე, მრგვალ-ბრტყელი, სიმაღლე - 0,3სმ, დმ - 0,6სმ.

#12

2.11.2012

აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, სამარხის ზედაპირიდან 95სმ სიღრმეზე.

მძივები სარდიონის, 2ც. მოწითალო და შინდისფერი, გაუმჭვირვალე, მრგვალი. სიმაღლე - 0,3-0,5სმ, დმ - 0,3-0,4სმ.

#13

3.11.2012

საკინძი ბრინჯაოსი, კონუსურთავიანი, თავს ქვემოთ ოდნავ შესქელებულ ღეროზე აქვს ოვალური მოყვანილობის ხვრელი. ღერო მრგვალგანივკვეთიანი, წვერი მომრგვალებული. სიგრძე - 6,1სმ, თავის სიმაღლე - 0,4სმ, ხვრელის სიმღლე - 0,5სმ, დმ - 0,1სმ.

ტაბულების აღწერილობა.

ტაბულა I. – ბერთაყანის სატელიტური ფოტო უბნების მითითებით.

ტაბულა II. სურათი 1. #1 ქვაწირს არეალური ფოტო.

ტაბულა II. სურათი 2. #1 ქვაწრის C6 კვადრატის ფოტო

ტაბულა III სარათი 1. #1